პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 84 (10478)
ქვირა
8
აპრილი
1956 წ.

ფასი 20 კაპ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ახლა საჭიროდ მიაჩნიათ მიმართონ სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკს ნოწოდებით — წარმატებით დაამთავრონ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები მიმდინარე წელს, რადგან უკვე დადგა გადამწყვეტი მომენტი იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას XX ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალური შესრულება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების დარგში არა მარტო მეექვსე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული მოცულობით და ვადებში, არამედ აგრეთვე ვადამდეც და გაცილებით მეტი რაოდენობით.

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვიდან)

მ ი მ ა ა რ თ ვ ა

ყველა კოლმეურნის, საბჭოთა მეურნეობების მუშაკის, მტს-ების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, საცდელი სადგურების მუშაკების, აგრონომებისა და ზოოტექნიკოსებისადმი, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისა და სპეციალისტისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ შარშან კოლმეურნეებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა და ყველა მუშაკმა კარგად იზრუნეს და, მიუხედავად სასტიკი გვალვისა ყაზახეთში, დასავლეთ ციმბირსა და მთელ რიგ სხვა ოლქებში, ჩვენს ქვეყანაში მიღებული და დამზადებულია მნიშვნელოვნად მეტი პური, რძე, ხორცი, ბოსტნეული, ტექნიკური კულტურები, ვიდრე წინა წელს. რამდენადმე ნაკლები, ვიდრე 1954 წელს, მიღებულია ბაბისა და კარტოფილის მოსავალი.

1955 წელს მარცვლეულის საერთო მოსავალი მნიშვნელოვნად მეტი იყო წინა წლებისაზე. მარცვლეული მოყვანილია 22 პროცენტით მეტი, ვიდრე 1954 წელს. ეს მიღწეულია მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობების გადიდების, ყამირი მიწების ათვისების, სიმინდის ნათესების გაფართოებისა და მოსავლიანობის გადიდების შედეგად. სიმინდის მარცვლის მოსავალი 1955 წელს გადიდდა 3,6-ჯერ. ბევრჯერ გადიდდა აგრეთვე სიმინდის მწვანე მასის მოსავალი სასილოსედ და პირუტყვის ზაფხულის საკვებად. საბოჭკოე სელის ბოჭკოს საერთო მოსავალი 1954 წელთან შედარებით გადიდდა 74 პროცენტით, შაქრის ჭარხლისა — 54 პროცენტით, მზესუმზირასი — თითქმის ერთიორად. გასულ სამეურნეო წელს ჩვენს ქვეყანაში გადიდდა პირუტყვის სულადობა, ამაღლდა მისი პროდუქტიულობა, გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. საერთო წველადობა ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებში 1955 წელს 31 პროცენტით გადიდდა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდებამ შესაძლებელი გახადა 1955 წელს წარმატებით შესრულებულიყო სოფლის მეურნეობის პროდუქტების დაზადების გეგმა და დამზადებულიყო პური 147 მილიონი ფუთით მეტი, ბეთოვნი კულტურების თესლი 1.170 ათასი ტონით, შაქრის ჭარხალი 10,9 მილიონი ტონით, სელის ბოჭკო 135 ათასი ტონით, ბოსტნეული 787 ათასი ტონით, რძე 2,2 მილიონი ტონით, ხორცი 130 ათასი ტონით, მატყლი 35 ათასი ტონით მეტი, ვიდრე 1954 წელს. ბევრმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ, მტს-ებმა, მთელმა რაიონებმა, ცალკეულმა ოლქებმა და რესპუბლიკებმა 1955 წელს გადაჭარბებით შეასრულეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდების გეგმები, რომლებიც შემუშავებული იყო მათ მიერ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, და ზოგიერთი პროდუქტის წარმოების დონით მიუახლოვდნენ დავალებებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა 1960 წლისათვის დააწესა. უკრაინის სსრ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სახავდნენ 1955 წელს მიეღოთ 1.728 მილიონი ფუთი მარცვლეული, ხოლო ფაქტიურად მიიღეს 2 მილიარდ ფუთზე მეტი, რაც თითქმის შეესაბამება წარმოების დონეს, რომელიც დასახულია 1960 წლისათვის. რესპუბლიკაში შაქრის ჭარხალი აღებულია 1,6-ჯერ მეტი და კოლმეურნეობებში რძე მიღებულია 1,4-ჯერ მეტი, ვიდრე 1954 წელს. ვორონეჟის ოლქის კოლმეურნეობებმა 1955 წელს 1954 წელთან შედარებით გაადიდეს მარცვლის წარმოება 2-ჯერ, მზესუმზირასი — 2,9-ჯერ, ჭარხლისა — 2,8-ჯერ, რძისა — 1,6-ჯერ. მნიშვნელოვნად გაადიდეს აგრეთვე მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება მოლდავეთის სსრ, მოსკოვის, ბელგოროდის, ბალაშოვის, სტალინგრადის, ირკუტსკის, რიაზანისა და მთელი რიგი სხვა ოლქების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

ჩვენი ქვეყნის ყველა რესპუბლიკასა და ოლქში შარშან ბევრმა კოლმეურნეობამ მნიშვნელოვნად გაადიდა ფულადი შემოსავალი, რის შედეგადაც ამ კოლმეურნეობებში მკვეთრად გაიზარდა შრომადღის ფულადი ანაზღაურება.

ახლა მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებით აღფრთოვანებული, უდიდესი ენთუზიაზმით იბრძვის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდებისათვის.

პარტიის XX ყრილობამ ჩვენი ქვეყნის წინაშე, ქალაქისა და სოფლის მშრომელთა წინაშე დასახა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობისა და ჩვენი ხალხის მატერიალური და კულტურული დონის აუცილებლად გარანტიზული ამოცანები. ახლა მთელი საბჭოთა ხალხი შრომობს, რათა წარმატებით შეასრულოს ეს ამოცანები. ეჭვი არ არის, რომ მეექვსე ხუთწლიანი გეგმის დავალებები როგორც სოფლის მეურნეობაში, ისე მრეწველობაში არა მარტო მთლიანად, არაიდ გადაჭარბებითაც შესრულდება უფრო მოკლე ვადებში.

სოფლის მეურნეობის დარგში ეს დასტურდება იმით, რომ ახალ სამეურნეო წელს ჩვენი ქვეყნის მეტმა წილმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უკვე მოიპოვეს სარეზერვო მიღწევები მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების დარგში. ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებში რძის საერთო წველადობა 1955-1956 წლების ოქტომბერ-თებერვალში 63 პროცენტით გადიდდა წინა სამეურნეო წლის იმავე პერიოდთან შედარებით. რძის დამზადების პირველი კვარტალის გეგმა მთლიანად ჩვენს ქვეყანაში უკვე გადაჭარბებით შესრულდა, ხოლო ცალკეულმა რესპუბლიკებმა და ოლქებმა ეს გეგმა ერთნახევარჯერ-ორჯერ და უფრო მეტად შეასრულეს. 1956 წლის 1 მარტისათვის კოლმეურნეობებში გასასუქებლად იყო 3 მილიონზე მეტი ღორი, ეს სამჯერ აღემატება იმას, რაც შარშან ამავე დროისათვის იყო.

წელს გაცილებით უკეთ მიმდინარეობს მზადება საგაზაფხულო თესვისათვის, მეტი წილი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უკეთ არიან უზრუნველყოფილი თესლით; გაცილებით უფრო ადრე, ხოლო ეს ნიშნავს უფრო ხარისხოვნად, აუჩქარებლად დამთავრდა სატრაქტორო პარკის რემონტი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ახლა საჭიროდ მიაჩნიათ მიმართონ სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკს მოწოდებით — წარმატებით დაამთავრონ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები მიმდინარე წელს, რადგან უკვე დადგა გადამწყვეტი მომენტი იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას XX ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალური შესრულება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების დარგში არა მარტო მეექვსე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული მოცულობით და ვადებში, არამედ აგრეთვე ვადამდეც და გაცილებით მეტი რაოდენობით.

ვადებისა და რაოდენობის მიხედვით გეგმის მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულება ნაკარნახევია იმით, რომ სასიცოცხლოდ საჭიროა რაც შეიძლება მალე დაეკმაყოფილოთ ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მზარდი მოთხოვნილებანი სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე, და რაც უფრო ადრე განხორციელდება დასახული ამოცანების შესრულება, მით უკეთესია, იმიტომ რომ პროდუქტები, რომლებიც შეიქმნება, მოხმარდება საბჭოთა ხალხის მზარდ მოთხოვნილებათა უფრო სრულ დაკმაყოფილებას.

რა უნდა გაკეთდეს ახლა უწინარეს ყოვლისა? როგორც XX ყრილობის გადაწყვეტილებებში იყო ნათქვამი, ძირითადია მარცვლეულის პრობლემის გადაჭრა, რომლის წარმატებით შესრულებაზე დამოკიდებულია სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარება. პარტიისა და მთავრობის დოკუმენტებში დაწვრილებით და საფუძვლიანად ჩამოყალიბებულია მარცვლეულის პრობლემის გადაჭრის გზები და ხერხები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საჭიროდ მიაჩნიათ ამჟამად ერთხელ კიდევ მიაპყრონ სოფლის მეურნეობის მუშაკთა მთავარი ყურადღება ცალკეულ საკითხებს, რომლებზეც დამოკიდებული იქნება მარცვლეულის წარმოების გადიდება უკვე მიმდინარე წელს.

რა საკითხებია ეს საკითხები?

ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლის საწინდარი იქნება ნიადაგის კარგად მომზადება, ხარისხობრივი და დროზე თესვა კარგი თესლით. ამიტომ ახლა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საგაზაფხულო თესვისათვის მზადებას, რათა იგი მოეწყოს არა სიტყვით, არამედ საქმით უკეთეს, როგორც ჩვენი სოფლის მეურნეობის სპეციალისტები იტყვიან, ოპტიმალურ ვადებში და მაღალი ხარისხით, ყველა აგროტექნიკური მოთხოვნილების უსასტიკესი დაცვით. მთავარია მოვამზადოთ თესლი, რომ თესვისას გამოვიყენოთ უკეთესი ხარისხის, ჯიშისა და გაღივების მარცვალი, რათა უზრუნველყოფილ იქნას თესვის მთლიანი ნორმა და კარგად და სწორად ჩაიფლოს თესლი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან ამოცანად მიაჩნიათ კარგად მომზადება სიმინდის თესვისა და მისი მოვლისათვის. თუ ჩვენი ქვეყნის სამხრეთი რაიონების პირობებში ეს კულტურა სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის ძველი და კარგად ცნობილია, სხვა რაიონებში იგი ახალი და ნაკლებად ნაცნობი კულტურაა, განსაკუთრებით ცენტრალური ზოლის და მით უმეტეს საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი რაიონების მეტი წილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის.

შარშან სიმინდი მასობრივი წესით დათესა, და უნდა ითქვას, სინამდვილეს თუ პირდაპირ შეეხედავთ, რომ სიმინდმა ყველგან როდი მოგვცა მოსალოდნელი შედეგი. ბევრ რაიონში ამინდის პირობებიც არ იყო კარგი და ხელსაყრელი, გაჭიანურდა და ცივი იყო გაზაფხული, ადამიანებმაც, რომლებიც არ იცნობდნენ სიმინდის კულტურას, იგი დათესეს ძალიან ადრე, რის შედეგად სიმინდის მარცვალი ერთ თვეს, ხოლო მთელ რიგ ადგილებში მეტსაც, არ იძლეოდა აღმონაცენს, აღმონაცენი არ იყო თანაბარი, სავსე იყო სარეველათი, რაც ბუნებრივია მიწაში თესლის ასე ხანგრძლივი პერიოდით ყოფნის შემდეგ.

ზოგიერთი კოლმეურნეობა, ხელმძღვანელები და სპეციალისტები, რომლებიც კარგად იცნობდნენ სიმინდს და ჰქონდათ თესლის მარაგი, სწორად მოიქცნენ, როცა ხელახლა დათესეს გამეჩხერებული და დასარევლიანებული ნათესები, იმიტომ რომ შუა ზოლში ივნისის დამდეგს დათესილიც კი იძლევა კარგ სილოსის მასას პირუტყვის საკვებად, ხოლო ამ რაიონებში დასახულია სწორედ სასილოსე მასის მიღების ამოცანა და, სადაც ეს შესაძლებელია, რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის ტაროების და არა მწიფე მარცვლის მიღება. ეს ერთხელ კიდევ უნდა გავიხსენოთ და ყველამ კარგად ვიცოდეთ და გავითვალისწინოთ. იმ კოლმეურნეობათა გამოცდილება, რომლებიც შარშან გონივრულად მოიქცნენ და ხელახლად დათესეს და მოაწყეს მოვლა, სავსებით ადასტურებს ამას.

გასული წლის პრაქტიკა ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, რომ იმ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სადაც იყვნენ გამოცდილი და მცოდნე ხელმძღვანელები ან ისეთები, რომლებიც, საკუთარი გამოცდილების უქონლობის გამო, დაინტერესებული იყვნენ და გამოიყენეს სხვა მეურნეობათა გამოცდილება, რომლებიც უკვე მრავალი წელია თესავენ სიმინდს, ასეთმა ხელმძღვანელებმა შეისწავლეს ეს გამოცდილება და მიაღწიეს არა მარტო საშუალო, არამედ კარგ შედეგებსაც. ხოლო კოლმეურნეობების, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობების, რაიონული და საოლქო ორგანიზაციების ზოგიერთმა ხელმძღვანელმა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმაც კი ვერ მოიცალეს იმისათვის, რომ ჯეროვნად შეესწავლათ ეს გამოცდილება და მიეღოთ ღონისძიებანი, რათა უზრუნველეყოთ სიმინდის უხვი მოსავალი. ისინი დასჯერდნენ ყველაზე იოლს — მოწოდებას დაეთესათ სიმინდი როგორც ხელსაყრელი კულტურა და ზოგჯერ თვითონ არ იცოდნენ, რისთვის მოუწოდებდნენ, რადგან კონკრეტული ცოდნა ამ კულტურის მოყვანის ხელსაყრელობისა და ხერხების შესახებ თვითონაც არ ჰქონდათ. ასეთი მუშაკებისათვის ყველაზე გონივრული მოქმედება იქნებოდა დეტალურად გასცნობოდნენ ლიტერატურას ამ საკითხზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მოეწვიათ გამოცდილი ადამიანები, რათა მათ რჩევა მიეცათ და ეჩვენებინათ ადგილზე, გაეზიარებინათ თავიანთი გამოცდილება, თუ როგორ შეიძლება უკეთ და უფრო სწორად იქნას უზრუნველყოფილი სიმინდის უხვი მოსავლის მიღება.

ამიტომ სრულიადაც შემთხვევითი არ არის ისეთი მოვლენა, როცა ერთსა და იმავე ოლქში, ერთსა და იმავე რაიონში, ზოგ კოლმეურნეობაში სიმინდმა მცირე მოსავალი მოგვცა ან სრულიად დაიღუპა, ხოლო სხვა კოლმეურნეობებში იმავე პირობებში და იმავე წელს ბრწყინვალე მოსავალი მოგვცა.

ვლადიმირის ოლქის კოლმეურნეობებში მიიღეს სიმინდის მწვანე მასის მცირე მოსავალი, ხოლო ამავე ოლქის ლიახოვის რაიონის კოლმეურნეობა „ლუჩ კომუნიზმაში“ 82 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 188 ცენტნერი მწვანე მასა და 25 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე, გარდა სასილოსე მასისა, მიიღეს 32 ცენტნერი ტარო. იმავე რაიონის კოლმეურნეობა „კრასნაია პოიმაში“ სიმინდის მწვანე მასის მოსავალი 26 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ შეადგენდა 275 ცენტნერს და 8 ჰექტარზე, გარდა სასილოსე მასისა, მიღებულია 40 ცენტნერი ტარო საშუალოდ ჰექტარზე.

ივანოვოს ოლქში მიღებულია სიმინდის სასილოსე მასის მეტად მცირე მოსავალი, ხოლო ამავე ოლქის ანკოვოს რაიონის პუშკინის სახელობის კოლმეურნეობაში 20 ჰექტარი საერთო ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 300 ცენტნერი მწვანე მასა და 20 ცენტნერი ტარო.

მოსკოვის ოლქის ვოსკრესენსკის რაიონის კოლმეურნეობა „პარიეესკაია კომუნაში“ სიმინდი დათესა ჯიშიანი თესლით 16-18 მაისს. თვითეულ ნათეს ჰექტარზე შეტანილი იყო ადგილობრივი და მინერალური სასუქები, ნათესები ორჯერ გამოიკვება დამატებით და სამჯერ დამუშავდა მწკრივთა შორის. გარდა ამისა, სიმინდი გამოიხშირა და გაიმარგლა. ამის შედეგად კოლმეურნეობამ საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 66 ცენტნერი ტარო და 212 ცენტნერი მწვანე მასა. იმავე რაიონის კოლმეურნეობა „ზნამია ტრუდაში“ სიმინდს ვერ მოუარეს. სიმინდის თესვა გააჭიანურეს და დაამთავრეს 10 დღეში, სასუქი შეიტანეს ერთხელ, მწკრივთა შორის დაამუშავეს ორჯერ, ხოლო არც გამოუხშირავთ და არც ხელით გაუმარგლავთ. ამ კოლმეურნეობაში სიმინდს ტარო არ მოუცია, ხოლო მწვანე მასა მიღებულ იქნა 53 ცენტნერი ჰექტარზე.

მოგილიოვის ოლქის კიროვის რაიონის კოლმეურნეობა „რასსვეტში“ 1955 წელს სიმინდის 500 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 350 ცენტნერი მწვანე მასა და დიდი რაოდენობით რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის ტარო, რამაც კოლმეურნეობას შესაძლებლობა მისცა საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა უზრუნველეყო წვნიანი საკვებით.

სიმინდის მწვანე მასისა და რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის ტაროს უხვი მოსავალი მიიღეს 1955 წელს მოლოდეჩნოს ოლქის გლუბოკის რაიონის მიჩურინის სახელობის, კიროვის სახელობის კოლმეურნეობებმა, მინსკის ოლქის სლუცკის რაიონის კოლმეურნეობამ „კრასნი უდარნიკი“ და სტოლბეცის რაიონის კოლმეურნეობამ „ზა მირ“, მოგილიოვის ოლქის შკლოვსკის რაიონის ლენინის სახელობის, გომელის ოლქის პარიჩის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნაია სმენამ“ და რესპუბლიკის ბევრმა სხვა კოლმეურნეობამ. ამავე დროს მთლიანად ბელორუსიის სს რესპუბლიკაში მიღებულია სიმინდის სასილოსე მასის მცირე მოსავალი.

ვოლგისპირეთისა და ურალის რაიონებში აგრეთვე ცოტა კოლმეურნეობა როდია, რომლებმაც სიმინდის მშვენიერი მოსავალი მოიყვანეს. ჩუვაშეთის ასსრ ბურნარის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ 170 ჰექტარი საერთო ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 421 ცენტნერი მწვანე მასა. ამავე რესპუბლიკის იალჩიკის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში ცალკეულ ნაკვეთებზე მოყვანილია 660 ცენტნერი მწვანე მასა ჰექტარზე. სვერდლოვსკის ოლქის კამენსკის რაიონის ფრუნზეს სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა 36 ჰექტარი საერთო ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანეს 400 ცენტნერი სიმინდის მწვანე მასა, ხოლო ამავე ოლქის ტალიცის რაიონის არტელ „ობიედინენიეში“ — 540 ცენტნერი ჰექტარზე.

ციმბირის მთელ რიგ კოლმეურნეობებში, სადაც დღემდე სიმინდის თესვას შეუძლებლად თვლიდნენ, მიღებულია ამ კულტურის უხვი მოსავალი. მაგალითად, ჩიტის ოლქის ულეტის რაიონის კოლმეურნეობა „პობედაში“ და შილკის რაიონის კოლმეურნეობაში „ზავეტ ილიჩა“ მიღებულია 440-დან 600 ცენტნერამდე სასილოსე მასა ჰექტარზე. არხანგელსკის ოლქშიც კი, სადაც 1955 წელს ამინდის პირობები განსაკუთრებით არახელსაყრელი იყო ამ კულტურისათვის, ცალკეულმა კოლმეურნეობებმა ჰექტარზე მიიღეს 100 ცენტნერამდე სასილოსე მასა.

რატომ აქცევენ ახლა პარტია და მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას სიმინდს? იმიტომ, რომ ეს კულტურა დიდი შესაძლებლობის კულტურაა და იქ, სადაც ამ კულტურას ყურადღებას აქცევდნენ, მან ეს ყურადღება ძლიერ უხვად აანაზღაურა. ამიტომ ახლა საჭირო არ არის თავი ვიტეხოთ მარტივ კითხვაზე: გამოდგება სიმინდი თუ არა ამა თუ იმ რაიონში, გაიზრდება იგი თუ არ გაიზრდება, — იგი უკვე იზრდება ჩვენი საბჭოთა კავშირის ყოველ ადგილას. მაგრამ იმ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სადაც იციან მისი კარგად თესვა და მისი კარი მოვლა. ხოლო რადგან ჩვენ უნდა შევასრულოთ ღორის ხორცის, ძროხის ხორცის წარმოების გადიდების და ჩვენი ქვეყნის ხორცით, რძით, ერბო-კარაქითა და რძის სხვა პროდუქტებით სრული უზრუნველყოფის დიდი პროგრამა, სწორედ სიმინდი იქნება ერთ-ერთი ის კულტურა, რომელსაც. თუ ყურადღებით და მზრუნველობით მოვეპყრობით მას, შეუძლია დიდი სამსახური გაგიწიოს საჭირო რაოდენობით კონცენტრირებული და წვნიანი საკვებით კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის უზრუნველყოფაში.

საჭიროა, რომ წელს საოლქო, რაიონული პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებმა, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა აღმოფხვრან სიმინდის წარმოების მნიშვნელოვანი გაფართოების საქმისადმი ზერელე ხელმძღვანელობის ნაკლოვანებანი, თვითონ კარგად შეისწავლონ ეს საკითხი და შეძლონ კონკრეტულად იმუშაონ მასზე.

შეიძლება წარმოიშვას კითხვა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ამ მიმართვაში რატომ არ აქცევენ ასეთსავე ყურადღებას ხორბალს, ჭვავს, შვრიას, მზესუმზირას და მთელ რიგ სხვა კულტურებს, რომლებიც აგრეთვე მეტად დიდმნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისათვის, და საჭიროა აგრეთვე მოვიყვანოთ მათი კარგი მოსავალი. მაგრამ საქმე აქ ის კი არ არის, რომ ამ კულტურებს სათანადოდ არ ვაფასებდეთ, არამედ ის, რომ ეს კულტურები ჩვენი ქვეყნის ყველა ოლქისა და რაიონისათვის ძველი კულტურებია, რომელთა წარმოება კარგად იციან არა მარტო სპეციალისტებმა და ხელმძღვანელებმა, არამედ აგრეთვე კოლმეურნეთა, მტს-ების მუშაკთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა ძირითადმა მასამ. და აქ საქმე მხოლოდ ის არის, რომ ყოველივე, რაც საჭიროა დროზე კარგი თესვისა და შემდგომი მოვლისათვის უზრუნველყოფილ იქნას, დაწესდეს კონტროლი, ხოლო როგორ მოვიყვანოთ სწორად ესა თუ ის კულტურა და როგორ მივიღოთ უხვი მოსავალი — ეს სოფლის მეურნეობის მუშაკებმა იციან.

სხვა საქმეა სიმინდი. ეს კულტურა მეტად ხელსაყრელია, მაგრამ მას ყველა ვერ იცნობს ან ცუდად იცნობს, საჭიროა მისი შესწავლა. გვაქვს თუ არა ჩვენ ლიტერატურა, გვაქვს თუ არა ბროშურები, რომლებშიც კარგად იყოს აწერილი ყველა ეს ხერხი? ისინი საკმაოდ გვაქვს, საჭიროა მხოლოდ არ ვიზარმაცოთ, საჭიროა მხოლოდ შევისწავლოთ ეს და შემდეგ ვასწავლოთ ადამიანებს. და საქმე ნამდვილად გამოვა. არის თუ არა ჩვენს ქვეყანაში შესაძლებლობა, რომ ყოველი კოლმეურნეობა, ყოველი ბრიგადა თვით რგოლამდე მოვიცვათ კვალიფიციური აგრონომიული ხელმძღვანელობით? დიახ, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა არსებობა შესაძლებლობას გვაძლევს გადავჭრათ ეს ამოცანა. მხოლოდ საჭიროა დროზე ვასწავლოთ აგრონომებს, ზოოტექნიკოსებს, ინჟინრებს სიმინდის მოყვანის სწორი ხერხები, და ჩვენ ამ ძალებით შევძლებთ მოვიცვათ კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის წარმოების ყველა უბანი.

ჩვენი ქვეყნის საშუალო ზოლის, აღმოსავლეთი და სხვა რაიონებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კარტოფილისა და ბოსტნეულის ნათესებს. კარტოფილისა და ბოსტნეულის დამზადებისა და შესყიდვის ფასების მნიშვნელოვანი გადიდების შესახებ იმ ღონისძიებათა შედეგად, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს, შეიძლება ეს კულტურები ძლიერ მოსავლიანი იქნეს, თუ, რა თქმა უნდა, მათ მივაქცევთ ყურადღებას, ე. ი. დროზე შევარჩევთ კარგ თესლს, ხარისხოვნად მოვამზადებთ ნიადაგს, კარგად მოვაწყობთ თესვასა და ნათესების მოვლას.

თუ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, კოლმეურნეობები, მტს-ები და საბჭოთა მეურნეობები ჯეროვნად მოჰკიდებენ ხელს კარტოფილისა და ბოსტნეულის მოყვანას, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ამ პროდუქტების საერთო მოსავლის ზრდა, რაც დასახულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის დირექტივებით, მიღწეულ იქნება უახლოეს ორ-სამ წელიწადში.

იგივე შეიძლება ითქვას ბაღჩეული კულტურებისა და ხილის შესახებ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სჯეროდ მიაჩნიათ აღნიშნონ, რომ ჩვენს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი აქვთ შაქრის ჭარხლის წარმოების ორგანიზაციის საქმეში. მიუხედავად დიდი შესაძლებლობებისა, რომლებიც ჩვენს ქვეყანას მოეპოვება შაქრის წარმოების გასადიდებლად, და, მიუხედავად კვების ამ დიდმნიშვნელოვან პროდუქტზე მოთხოვნილებათა ზრდისა, შაქრის ჭარხლის ნათესი ფართობების არასაკმაოდ გადიდებისა და ცალკეულ ოლქებსა და რაიონებში მცირე მოსავლიანობის გამო შაქრის წარმოება ჩვენში ნელი ტემპით იზრდება.

ჩვენი შესაძლებლობების არსებობაზე შეიძლება ვიმსჯელოთ ასეთი მაგალითებით. თუ შარშან უკრაინამ მთლიანად ჰექტარზე მიიღო 198 ცენტნერი ჭარხალი, სუმის ოლქმა მიიღო მხოლოდ 117 ცენტნერი ჰექტარზე, მაშინ როცა მეზობელმა პოლტავის ოლქმა ჰექტარზე მიიღო 224 ცენტნერი; ვორონეჟის ოლქმა ჰექტარზე მიიღო 191 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, ლიპეცკის ოლქმა კი მხოლოდ 119 ცენტნერი ჰექტარზე, კურსკის ოლქმა — 102 ცენტნერი ჰექტარზე.

პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებში დასახულია ამოცანა — მნიშვნელოვნად გადიდდეს მოსავლიანობა და ამავე დროს გაიზარდოს შაქრის ჭარხლის ნათესი ფართობები, 1955 წელთან შედარებით ჭარხლის საერთო მოსავალი გადიდდეს 54 პროცენტით და 1960 წელს შაქრის გამომუშავება აყვანილ იქნას სულ ცოტა 6 მილიონ 530 ათას ტონამდე. უნდა ითქვას, რომ თუ ჩვენ ჯეროვნად მოვკიდებთ ხელს ამ საქმეს, ეს ამოცანა შეიძლება გაცილებით უფრო ადრე გადაიჭრას.

უდიდესი რეზერვები გვაქვს ნედლი ბამბის წარმოების გასადიდებლად. უკანასკნელ წლებში ბამბის მთესველ კოლმეურნეობათა დაახლოებით მესამედი ჰექტარზე იღებს 10-15 ცენტნერ ნედლ ბამბას. თუ ამ კოლმეურნეობებში ბამბის მოსავლიანობას ავიყვანთ საშუალოდ საბჭოთა კავშირის მოსავლიანობამდე, შეიძლება მარტო ამით ყოველწლიურად მივიღოთ ნედლი ბამბის საერთო მოსავლის მატება 600-700 ათასი ტონით.

უკვე რამდენიმე წელიწადია ჩვენს ქვეყანაში ბამბის მოსავლიანობის მხრივ გამოირჩევა ტაჯიკეთის რესპუბლიკა. შარშანაც მან უფრო უხვი მოსავალი მიიღო, ვიდრე ბამბის მთესველმა სხვა რესპუბლიკებმა. 1955 წელს ტაჯიკეთის კოლმეურნეობებმა ჰექტარზე მიიღეს 25 ცენტნერზე მეტი ნედლი ბამბა, მაშინ როცა უზბეკეთსა და აზერბაიჯანში მიიღეს 19 ცენტნერი ჰექტარზე, თურქმენეთში 15,5 ცენტნერი ჰექტარზე, ყაზახეთში კი მხოლოდ 11 ცენტნერი ჰექტარზე. შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ ტაჯიკეთის მებამბეები არ დაკმაყოფილდებიან მიღწეულით და განაგრძობენ ბრძოლას ბამბის მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის. ამიტომ უზბეკეთის, აზერბაიჯანის, თურქმენეთისა და განსაკუთრებით ყაზახეთის მებამბეებს მოუხდებათ კარგად იმუშაონ. ბამბის მოსავლიანობის გადიდება ბამბის მთესველ ყველა რესპუბლიკაში ტაჯიკეთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დონემდე შესაძლებელს გახდის მკვეთრად გადიდდეს ჩვენს ქვეყანაში ბამბის საერთო მოსავალი, რაც ასე საჭიროა ჩვენი მრეწველობისათვის და ქსოვილებზე მშრომელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ იმ ტექნიკური კულტურების კვადრატულად და კვადრატულ-ბუდობრივად თესვისათვის დროზე მომზადებას, რომლებიც მოითხოვენ ორი მიმართულებით დამუშავებას. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ეს შეიცავს შრომის ნაკლები დანახარჯით ამ კულტურების უხვი მოსავლის მიღების დიდ შესაძლებლობას, მაგრამ ამისათვის საჭიროა კარგად მოვამზადოთ ტექნიკა, კვალიფიციურად და ხარისხოვნად დავთესოთ, რათა ნამდვილად მივიღოთ კვადრატი, რომელიც შექმნის შესაძლებლობას შემდგომ დამუშავდეს ორი მიმართულებით, არ მოიჭრას და არ გამეჩხერდეს ნათესები.

მ ი მ ა ა რ თ ვ ა

ყველა კოლმეურნის, საბჭოთა მეურნეობების მუშაკის, მტს-ების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, საცდელი სადგურების, მუშაკების, აგრონომებისა და ზოოტექნიკოსებისადმი, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისა და სპეციალისტისადმი

(დასასრული)

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ იმას, რომ საჭიროა მაქსიმალურად შემცირდეს შრომისა და სახსრების ხარჯვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაზე. ამიტომ უნდა გაუმჯობესდეს მტს-ებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში არსებული სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების გამოყენება; ამაღლდეს ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონე, განსაკუთრებით მეცხოველეობაში; გაუმჯობესდეს კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა შრომის ორგანიზაცია და გადიდდეს მისი ნაყოფიერება და რაც შეიძლება მეტად შემცირდეს ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატი კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ხოლო განთავისუფლებული მუშაკები გაიგზავნონ უშუალოდ წარმოებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ ჩვენში შეიქმნა საკმაოდ ხელსაყრელი პირობები, რათა უკვე წელს მნიშვნელოვნად გადიდდეს რძისა და ხორცის წარმოება და უზრუნველყოფილ იქნას ჩვენი ქვეყანა ამ პროდუქტებით.

ახლა ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ყურადღება მიექცეს ხორცის წარმოებას, როგორც სოფლის მეურნეობის ყველაზე ჩამორჩენილ დარგს, ხოლო ამ ამოცანის გადაჭრის პირობები, განსაკუთრებით ღორის ხორცის წარმოებით. ჩვენში არის, გვყავს დედაპირუტყვის საკმაო სულადობა. გარდა ამისა, ფართო მასშტაბით მოწყობილია გოჭების მიღება ერთჯერადი დედაღორებისაგან. ასე რომ ახლა ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად კონკრეტულად და საგნობრივად მოვკიდებთ ხელს ამ საქმეს და უარს ვიტყვით ზოგად ლაპარაკზე, რომელიც არავის არაფერს არ ავალებს და არაფერს არ იძლევა. საქმის კონკრეტული შესწავლა კი მოითხოვს, რომ ვიცოდეთ, რამდენი დედაპირუტყვია ამა თუ იმ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, რამდენი ერთჯერადი დედაღორია, როგორი იქნება გოჭების გამოსავლიანობა, რა ვადებში, როდის და რა რაოდენობით დავაყენებთ მათ გასაჩეხად, რა საკვებია გამოყოფილი ამ მიზნით, ვინ აწყობს ამ ღონისძიებას და ვინ აგებს პასუხს მისთვის, რომელ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში და მეცხოველეობის რამდენი პროდუქტები იქნება მიღებული 100 ჰექტარ სახნავზე ან სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე და რამდენს მივიღებთ უკვე წელს ხორცს, რძეს, მატყლსა და სხვა პროდუქტებს და რა ვადებში. მეურნეობის მხოლოდ ასეთი ორგანიზაციის დროს შეიძლება მივაღწიოთ ჯეროვან შედეგებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ ბევრმა რესპუბლიკამ, მხარემ და ოლქმა უკვე წელს გასწია დიდი მუშაობა რძისა და ხორცის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდებისათვის. პრესა იუწყებოდა, რომ ვორონეჟის ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელები გამოვიდნენ სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებად რძისა და ხორცის წარმოების გადიდებისათვის და იკისრეს ვალდებულება 1956 წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაორკეცონ ხორცის წარმოება, ესე იგი მეექვსე ხუთწლიანი გეგმით დადგენილი დავალებები შეასრულონ ხუთი წლის ნაცვლად ერთ წელიწადში, ხოლო რძის წარმოება გაორკეცონ წელიწადნახევარში. არის ყველა საფუძველი ვიფიქროთ, რომ ვორონეჟელი კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები პირნათლად შეასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ამ ინიციატივას ეგებვა, როგორც ერთ-ერთ ეფექტურ ღონისძიებას, ხელი შეუწყოს ქვეყანაში ხორცის, ძეხვეულის, ფაფუკი ხორცეულის, ფაფუკი ხორცეულის, ფაფუკი ხორც

პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიული გამოცდილების შესახებ

(დასასრული)

დიქტატურა, ხოლო ბურჟუაზიის დიქტატურა — უფრო პროგრესული, ვიდრე ფეოდალების დიქტატურა. ამ ექსპლოატატორულმა კლასებმა, რომლებმაც საზოგადოების განვითარების ისტორიაში გარკვეული პროგრესული როლი შეასრულეს, დიდი ხნის განმავლობაში უამრავი ისტორიული შეცდომა ჩაიდინეს; მათი შეცდომები არაერთგზის გამეორებულა, სანამ ისინი ბატონობის გამოცდილებას შეიძენდნენ. მაგრამ წარმოებითს ურთიერთობასა და საწარმოო ძალებს შორის წინააღმდეგობათა გამწვავების კვალობაზე ექსპლოატატორებს არ შეეძლოთ არ დაეშვათ კიდევ უფრო სერიოზული და მრავალი შეცდომა, რომლებიც იწვევდნენ მასობრივ წინააღმდეგობას ჩაგრული კლასების მხრივ, თვით ექსპლოატატორთა ბატონობისათვის ძირის გამოთხრას და მათს დაღუპვას.

პროლეტარიატის დიქტატურა თავისი ბუნებით ძირეულად განსხვავდება ექსპლოატატორული კლასების ყოველგვარი დიქტატურისაგან. ეს არის ექსპლოატირებული კლასების დიქტატურა, უმრავლესობის დიქტატურა უმცირესობაზე, დიქტატურა, რომლის მიზანია სოციალისტური საზოგადოების აშენება, სადაც არ არის ექსპლოატაცია და სიღატაკე, ეს არის ყველაზე პროგრესული და კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე უძანასკნელი დიქტატურა. ასეთი დიქტატურა უდიდეს და უძნელეს ისტორიულ ამოცანებს ასრულებს. იგი აღსავსეა ბრძოლით, რომელიც ძალიან მიხვეულ-მოხვეული გზებით და ურთიერთს ისტორიულ პირობებში წარმოებს. აი ამიტომ პროლეტარიატის დიქტატურის დროს, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, სავსებით შესაძლებელია ბევრი შეცდომაც.

თუ ზოგიერთ კომუნისტში თავს იჩენს ყოყოჩობა და იდეური უძრაობა, მათ შეუძლიათ კიდევაც გაიმეორონ შეცდომები, რომლებიც წინათ თვითონ მათ ან სხვებმა დაუშვეს. ჩვენ, კომუნისტებმა, სავსებით უნდა გავითვალისწინოთ ეს გარემოება. იმისათვის, რომ დავამარცხოთ ძლიერი მტრები, პროლეტარიატის დიქტატურა მოითხოვს ხელისუფლების ცენტრალიზაციის მაღალ დონეს. ხელისუფლების ეს მაღალი ცენტრალიზაცია შეხამებული უნდა იყოს სრულ დემოკრატიასთან. როცა მთავარი ყურადღება ექცევა მხოლოდ ცენტრალიზაციას, შეიძლება წარმოიშვას მრავალი შეცდომა. ესეც სავსებით გასაგებია. მაგრამ როგორი შეცდომებიც უნდა იყოს, პროლეტარიატის დიქტატურას ხალხის მასებისათვის უდიდესი უპირატესობა აქვს ექსპლოატატორული კლასების ყოველგვარი ფორმის დიქტატურასთან შედარებით, მათ შორის ბურჟუაზიულ დიქტატურასთან შედარებითაც. სწორად აღნიშნავს ვ. ი. ლენინი, რომ „თუ ჩვენი მოწინააღმდეგენი მიგვითითებენ და ამბობენ: აი, ლენინი თვითონ აღიარებს, რომ ბოლშევიკებმა უამრავი სისულელე ჩაიდინესო, მე მინდა ამაზე მივუგო მათ: დიახ, მაგრამ იცით რა, ჩვენი სისულელეები მაინც სულ სხვა ჯურისაა, ვიდრე თქვენი“ (თხზ., ტომი 33, გვ. 508).

ძარცვის განხორციელების მიზნით ექსპლოატატორული კლასები მუდამ ესწრაფვიან იმას, რომ მარადიული გახადონ თავიანთი დიქტატურა, იმას, რომ ეს დიქტატურა მონარჩუნებულ იქნას თაობიდან თაობაში. ამისათვის ისინი მიმართავენ ხალხის ჩაგვრის ყველა საშუალებას. მათ მიერ ჩადენილი შეცდომები გამოუსწორებელია. პროლეტარიატმა კი ხალხის მატერიალურად და სულიერად განთავისუფლების მიზნით უნდა გამოიყენოს თავისი დიქტატურის შესაძლებლობანი კომუნიზმის აშენებისათვის, კაცობრიობის განთავისუფლებისათვის, იმისათვის, რომ მისი დიქტატურა თანდათან კვდებოდეს. ამის გამო საჭიროა სრული თავისუფლება მიეცეს ხალხის მასების ინიციატივისა და აქტივობის განვითარებას. ხალხის მასების ინიციატივისა და აქტივობის უსაზღვრო განვითარება კი პროლეტარიატის დიქტატურის დროს შეიცავს პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში ჩადენილი სხვადასხვა შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობას.

კომუნისტური პარტიებისა და სოციალისტური სახელმწიფოების ყველა ხელმძღვანელის მოვალეობაა დაუშვან რაც შეიძლება ნაკლები შეცდომა, ყოველი ღონისძიებით აიცდინონ სერიოზული შეცდომები, გამოიტანონ გაკვეთილები ცალკეული ნაწილობრივი ეპიზოდური შეცდომებიდან, ესწრაფვოდნენ იმას, რომ ცალკეული ნაწილობრივი ეპიზოდური შეცდომები არ გადაიზარდოს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შეცდომებად და არ დარჩეს გამოუსწორებელი ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა, რომ პარტიისა და სახელმწიფოს ყველა ხელმძღვანელი იყოს ძალიან წინდახედული და თავმდაბალი, მჭიდრო კავშირი ჰქონდეს მასებთან, ეთათბირებოდეს მასებს, განუწყვეტლივ სწავლობდეს რეალურ ვითარებას, სისტემატურად ახორციელებდეს შესაბამის კრიტიკასა და თვითკრიტიკას. სტალინმა, რომელიც პარტიისა და სახელმწიფოს მთავარი ხელმძღვანელი იყო, სერიოზული შეცდომები ჩაიდინა თავისი სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში სწორედ იმიტომ, რომ ასე არ იქცეოდა. იგი ბაყოყოჩდა, წინდაუხედავი გახდა, დაუშვა სუბიექტივიზმი, ცალმხრივობა თავის შეხედულებებში, იღებდა მცდარ გადაწყვეტილებებს ცალკეულ დიდმნიშვნელოვან საკითხებზე, რასაც სერიოზული შედეგები მოჰყვა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საბჭოთა ხალხმა და საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით შექმნეს დედამიწის მეექვსედ ნაწილზე პირველი სოციალისტური სახელმწიფო. საბჭოთა კავშირმა სწრაფი ტემპით განახორციელა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, განავითარა სოციალისტური მეცნიერება და კულტურა, შექმნა ქვეყნის მრავალი ეროვნების მტკიცე კავშირი საბჭოების კავშირის ფორმით, წარსულში ჩამორჩენილი ეროვნებანი გადააქცია სოციალისტურ ერებად. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საბჭოთა კავშირმა, რომელიც ფაშიზმის განადგურების მთავარი ძალა გახდა, იხსნა ევროპის ცივილიზაცია და დაეხმარა აღმოსავლეთის ხალხებს იაპონიის მილიტარიზმის მოსპობაში. ყველა ამ ბრწყინვალე წარმატებამ მთელ კაცობრობას უჩვენა სოციალიზმისა და კომუნიზმის ნათელი პერსპექტივა, მნიშვნელოვნად შეარყია იმპერიალიზმის საყრდენები და ამით საბჭოთა კავშირი გახადა მთელ მსოფლიოში მტკიცე შშვიდობისათვის ბრძოლის ყველაზე მძლავრი დასაყრდენი.

საბჭოთა კავშირი აღაფრთოვანებს და მხარს უჭერს სხვა ხალხებს სოციალიზმის მშენებლობაში, აღაფრთოვანებს სოციალიზმისათვის მოძრაობას, კოლონიალიზმის წინააღმდეგ მოძრაობას, კაცობრიობის პროგრესისათვის ყველა მოძრაობას. ყოველივე ეს საბჭოთა ხალხისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დიდი წვლილია კაცობრიობის ისტორიაში. ამ დიადი საქმეების განხორციელების გზა საბჭოთა ხალხსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას უჩვენა ვ. ი. ლენინმა. ლენინურ მითითებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში დამსახურება აქვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომელიც ახორციელებდა ქმედითს ხელმძღვანელობას, დამსახურება აქვს სტალინსაც, რაც არ შეიძლება დავიწყოთ.

ლენინის გარდაცვალების შემდეგ სტალინი, როგორც პარტიისა და სახელმწიფოს მთავარი ხელმძღვანელი, შემოქმედებითად იყენებდა და ავითარებდა მარქსიზმ-ლენინიზმს. ლენინიზმის მტრებისაგან — ტროცკისტებისაგან, ზინოვიეველებისა და ბურჟუაზიის სხვა აგენტებისაგან ლენინური მემკვიდრეობის დაცვისათვის ბრძოლაში იგი გამოხატავდა ხალხის ნებას და მარქსიზმ-ლენინიზმისათვის გამოჩენილი მებრძოლი იყო. სტალინმა მოიხვეჭა საბჭოთა ხალხის მხარდაჭერა და დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ისტორიაში. უწინარეს ყოვლისა იმის მეოხებით, რომ იგი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სხვა ხელმძღვანელებთან ერთად იცავდა საბჭოთა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ლენინურ ხაზს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ ამ ხაზის განხორციელებას მოჰყვა გამარჯვება სოციალისტური წყობილებისა ქვეყანაში, შეიქმნა პირობები იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირს გამარჯვება მოიპოვებინა ჰიტლერის წინააღმდეგ ომში.

საბჭოთა ხალხის ყველა ეს გამარჯვება შეესაბამება მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის ინტერესებს და პროგრესული კაცობრიობის ნებას. ამიტომ ბუნებრივია, რომ სტალინის სახელი უაღრესი დიდებით სარგებლობდა მთელ მსოფლიოში. მაგრამ, სწორად ახორციელებდა რა ლენინურ ხაზს და სარგებლობდა რა ამის მეოხებით უაღრესი დიდებით ხალხთა შორის როგორც თავის ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ, იგი მცდარად, გადაჭარბებით აფასებდა თავის როლს, უმაგალითოდ განადიდებდა თავის თავს, უპირისპირებდა თავის პირად ძალაუფლებას კოლექტიურ ხელმძღვანელობას, რის შედეგადაც ზოგიერთი მისი მოქმედება ეწინააღმდეგებოდა მარქსიზმ - ლენინიზმის ზოგიერთ ძირითად დებულებებს, რომლებსაც წინათ იგი თვითონ ქადაგებდა. ერთი მხრივ იგი აღიარებდა, რომ ხალხია ისტორიის შემოქმედი, აღიარებდა, რომ პარტიას მუდამ უნდა ჰქონდეს კავშირი მასებთან, რომ საჭიროა განვითარდეს შინაპარტიული დემოკრატია და გაჩაღდეს თვითკრიტიკა და ქვემოდან კრიტიკა. მეორე მხრივ იგი იწყნარებდა და აქეზებდა პიროვნების კულტს, იწყნარებდა თვითნებობას. ამრიგად, თავისი სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში სტალინმა დაუშვა გადახვევა პრაქტიკასა და თეორიას შორის.

მარქსისტ-ლენინელები აღიარებენ, რომ ხელმძღვანელებს შეუძლიათ დიდი როლი შეასრულონ ისტორიაში. ხალხს და ხალხის პარტიას ესაჭიროებათ მოწინავე მოღვაწეები, რომლებსაც შეუძლიათ გამოხატონ ხალხის ინტერესები და ნება, იდგნენ ისტორიული ბრძოლის პირველ რიგებში და ხელმძღვანელობდნენ ხალხის მასებს. სავსებით მცდარი იქნება უარვყოთ პიროვნების როლი, უარვყოთ მოწინავე ადამიანთა და ხელმძღვანელთა როლი. მაგრამ პარტიისა და სახელმწიფოს ყოველი ხელმძღვანელი დაკარგავს სახელმწიფო საქმეების გამჭრიახი ხელმძღვანელობის უნარს, თუ იგი თავის თავს დააყენებს პარტიასა და მასებზე მაღლა, თუ იგი მოსწყდება მასებს. ასეთ პირობებში გამოჩენილ მოღვაწეებსაც კი, როგორიც სტალინი იყო, ზოგიერთი დიდმნიშვნელოვანი საკითხის შესახებ აგრეთვე გარდუვალად შეუძლიათ მიიღონ მცდარი გადაწყვეტილებანი, რომლებიც არ შეესაბამება ფაქტიურ ვითარებას. სტალინმა ვერ გამოიტანა გაკვეთილი ცალკეული ნაწილობრივი და ეპიზოდური შეცდომებიდან, რომლებიც ზოგიერთი საკითხის გადაჭრის დროს დაუშვა. მან ვერ აიცდინა თავიდან ამ შეცდომების გადაზრდა საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გაკვლევებით უფრო სერიოზულ შეცდომებად.

თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში სტალინი სულ უფრო მეტად ეძლეოდა პიროვნების კულტს, არღვევდა დემოკრატიულ ცენტრალიზმს პარტიაში, არღვევდა პირად პასუხისმგებლობასთან კოლექტიური ხელმძღვანელობის შეხამების პრინციპს. ყოველივე ამას მოჰყვა ისეთი სერიოზული შეცდომები, როგორიც იყო გადახრები ხალხის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში, საჭირო გამაფრთხილებელ ღონისძიებათა მიუღებლობა ანტიფაშისტური ომის წინ, ჯეროვანი ყურადღების უქონლობა სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და გლეხობის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისადმი. საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში მან დაუშვა მთელი რიგი შეცდომები და განსაკუთრებით მცდარი გადაწყვეტილება მიიღო იუგოსლავიის საკითხზე. ამ საკითხების გადაჭრისას სტალინმა გამოიჩინა სუბიექტივიზმი და ცალმხრივობა, მოსწყდა ობიექტურ სინამდვილეს, მოსწყდა მასებს.

მზარდი სოციალისტური საწარმოო ძალები, სოციალისტური ეკონომიური და პოლიტიკური სისტემები და პარტიული ცხოვრება დღითიდღე სულ უფრო მწვავე წინააღმდეგობებსა და კონფლიქტებში ექცევიან პიროვნების კულტის ამგვარ ატმოსფეროსთან. ბრძოლა, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე გაჩაღდა პიროვნების კულტის წინააღმდეგ, ჭეშმარიტად დიდი გმირული ბრძოლაა საბჭოთა კომუნისტებისა და საბჭოთა ხალხისა, რომლებიც სპობენ პროგრესის გზაზე მდგომ იდეოლოგიურ დაბრკოლებებს.

ჩინეთის კომუნისტური პარტია მიეღალმება დიდ წარჭატებებს, რაც მიღწეულია ისტორიული მნიშვნელობის ძეგლად ბრძოლაში, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია აწარმოებს პიროვნების კულტის წინააღმდეგ. ჩინეთის რევოლუციის გამოცდილებაც ადასტურებს, რომ მხოლოდ ხალხის მასების გონებაზე, დემოკრატიული ცენტრალიზმის სისტემაზე, ისეთ სისტემაზე დაყრდნრბით, რომელიც შეხამებულია კოლეგიალური ხელმძღვანელობა და პირადი პასუხისმგებლობა, ჩვენი პარტია, რევოლუციის პერიოდი იყო ეს თუ სახელმწიფოებრივი მშენებლობის პერიოდი, მუდამ აღწევდა და აღწევს დიდ გამარჯვებებსა და წარმატებებს.

წარსულში, ჯერ კიდევ წინანდელ რევოლუციურ რიგებში, ჩინეთის კომუნისტური პარტია მუდამ გამოდიოდა მასებს მოწყვეტილი მეტიჩრებისა და ერთეული „გმირების“ წინააღმდეგ. არ უნდა დავეჭვდეთ იმაში, რომ ისეთი მოვლენები, როგორიც არის მასებს მოწყვეტილი მეტიჩრები, ინდივიდუალური გმირობა, კიდევ იარსებებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ერთხელ დაძლეული ასეთი მოვლენები შეიძლება კვლავ წარმოიშვას. ერთ პერიოდში ისინი გამოაჩნდება ზოგიერთ ადამიანს, ხოლო მეორე პერიოდში — სხვებს. როდესაც ადამიანები გულდასმით ადევნებენ თვალს ერთი ადამიანის მოქმედებას, მათ შეიძლება ხშირად ვერ შეიმჩნონ კოლექტივისა და მასების მოქმედება. ამიტომ ზოგიერთი ადამიანი ადვილად მიეკიდმა ეგოისტურ თვითგანდიდებას, გააღერებს თავის თავს ანდა ბრმად იხრის ქედს სხვების შეცდომების წინაშე. ამიტომ ბრძოლა მასებს მოწყვეტილი მეტიჩრების, ერთეული „გმირების“ წინააღმდეგ, პიროვნების კულტის წინააღმდეგ ისეთი საკითხია, რომელსაც ყოველდღიურად უნდა ექცეოდეს დიდი ყურადღება.

სუბიექტური ხელმძღვანელობის მეთოდის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1943 წლის ივნისში მიიღო გადაწყვეტილება ხელმძღვანელობის მეთოდების შესახებ. ახლა, როდესაც საქმე ეხება პარტიაში კოლექტიურ ხელმძღვანელობას, პარტიის ყველა წევრისათვის და პარტიის ხელმძღვანელი მუშაკებისათვის წინანდებურად სასარგებლო იქნება მოვიგონოთ ეს გადაწყვეტილება. მასში ჩაწერილია:

„ჩვენი პარტიის მთელ პრაქტიკულ საქმიანობაში სწორი ხელმძღვანელობა მუდამ უნდა ემყარებოდეს პრინციპს — შევიძინოთ მასებისაგან და შევძინოთ მასებს. ეს ნიშნავს: შევაჯამოთ მასების აზრები (განცალკევებული და უსისტემო აზრები) და ისინი (შესწავლის შედეგად განზოგადებული და სისტემაში მოყვანილი) კვლავ მივაწოდოთ მასებს, პროპაგანდა გავუწიოთ მათ, განვმარტოთ ისინი, გავხადოთ თვით მასების იდეებად, რათა მასები იცავდნენ ამ იდეებს და ახორციელებდნენ მოქმედებაში; ამასთან ერთად მასების მოქმედების მიხედვით შევამოწმოთ ამ იდეების სისწორე. შემდეგ საჭიროა კვლავ შევაჯამოთ მასების აზრები და კვლავ მივაწოდოთ ისინი მასებს, რათა მასები იცავდნენ მათ, — და ასე დაუსრულებლივ. თვითეულ შემთხვევაში ეს იდეები უფრო სწორი, უფრო ცხოველმყოფელი, უფრო სრულფასოვანი გახდება. ამას გვასწავლის შეიცნების მარქსისტული თეორია“ (მაო ძე-დუნი. რჩეული ნაწარმოებები, ტომი 4, გვ. 218-219, რუს.).

ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ჩვენს პარტიაში, ლაპარაკობდნენ რა ხელმძღვანელობის ასეთ მეთოდზე, მას ყველგან უწოდებდნენ „მასებზე დაყრდნობის ხაზს“. ჩვენი მუშაობის მთელი ისტორია მოწმობს, რომ როდესაც დაცულია ეს ხაზი, მუშაობაც მუდამ კარგია ან შედარებით კარგია. შეცდომებიც რომ იქნას დაშვებული, მათი გამოსწორება ადვილია. როდესაც ყველაფერი ამ ხაზის საწინააღმდეგოდ ხდება, მაშინ მუშაობა აუცილებლად დაბრკოლებებს აწყდება. ეს არის ხელმძღვანელობის მარქსისტულ-ლენინური მეთოდი, ეს არის მუშაობის მარქსისტულ-ლენინური ხაზი.

რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, როდესაც მუშათა კლასი და კომუნისტური პარტია სახელმწიფო ხელისუფლების ხელმძღვანელი ძალა გახდნენ, ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს პასუხისმგებელი მუშაკები, მოექცნენ რა დიუროკრატიზმის გავლენაში, აღმოჩნდნენ დიდი საფრთხის წინაშე: მათ შეეძლოთ გამოეყენებინათ სამსახურებრივი მდგომარეობა სახელმწიფო ორგანოებში, გამოეჩინათ თვითნებობა, მოწყვეტილიყვნენ მასებს, ჩამომრბოდნენ კოლექტიურ ხელმძღვანელობას, მართვაში გამოეყენებინათ შიშველი ადმინისტრირების მეთოდები, დაენგრიათ დემოკრატიზმი პარტიასა და სახელმწიფოში. ამიტომ, თუ ჩვენ არ გვინდა ჩავვარდეთ ამ ბინძურ ორმოში, მით უფრო მთელი სერიოზულობით უნდა ვიცავდეთ ხელმძღვანელობაში „მასებზე დაყრდნობის ხაზს“. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ ოდნავი წინდაუხედაობა. ამისათვის უნდა გამოვმუშაოთ მუშაობის გარკვეული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს „მასებზე დაყრდნობის ხაზისა“ და კოლექტიური ხელმძღვანელობის განხორციელებას, და ამით თავიდან უნდა ავიცილოთ პიროვნებისა და მასების მოწყვეტილ ერთეულთა გმირობის გაზვიადება, შევამციროთ ობიექტურ სინამდვილეს მოწყვეტილი მუშაობის ცალმხრივი, სუბიექტური მეთოდის შესაძლებლობა.

გამოგვაქვს რა გაკვეთილი პიროვნების კულტის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლიდან, ჩვენც უნდა განვავითაროთ ბრძოლა დოგმატიზმის წინააღმდეგ.

მუშათა კლასმა და ხალხის მასებმა მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით რევოლუციაში გამარჯვება მოიპოვეს, თავიანთ ხელში აიღეს სახელმწიფო ძალაუფლება, ხოლო რევოლუციის გამარჯვება და რევოლუციური ხელისუფლების დამყარება თავის მხრივ უსაზღვროდ ფართო გზას ხსნის მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის შემდგომი განვითარებისათვის. მაგრამ, ვინაიდან რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მარქსიზმი საერთოდ აღიარებული ხელმძღვანელი იდეა გახდა, საკმაოდ ბევრი ჩვენი პროპაგანდისტი, ხშირად ადმინისტრაციულ ხელისუფლებაზე და პარტიის ავტორიტეტზე დაყრდნობით, მასებს სთავაზობს მარქსიზმ-ლენინიზმს როგორც დოგმას ნაცვლად იმისა, რომ ბეჯითად და შეუპოვრად ეუფლებოდეს მასალას, მარქსისტულად და ლენინურად უკეთებდეს მას ანალიზს და სადა, ხალხისათვის გასაგები ენით, დიდი დამაჯერებლობით განუმარტავდეს მარქსიზმ-ლენინიზმის საერთო შეშმარიტების ერთიანობას ჩინეთის კონკრეტულ სინამდვილესთან.

უკანასკნელ წლებში ჩვენ ერთგვარ წარმატებებს მივაღწიეთ ფილოსოფიის, ეკონომიკის, ისტორიის, ლიტერატურისა და ხელოვნების კრიტიკული შესწავლის დარგში. მაგრამ, სერიოზულად რომ ვთქვათ, ჯერ კიდევ არსებობს ბევრი არაჯანსაღი მოვლენაც. საკმაოდ ბევრი ჩვენი მკვლევარი ჯერ კიდევ აზროვნებს დოგმატურად, განსაზღვრულ ჩარჩოებში, მათ აკლიათ დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და შემოქმედებითი სწრაფვა. ისინი ზოგიერთი მხრივ მოექცნენ პიროვნების კულტის გავლენაში, ქედს იხრიან სტალინის წინაშე. საჭიროა მივუთითოთ მათ, რომ სტალინის ნაწარმოებები კვლავ ჯეროვნად უნდა შევისწავლოთ. ყოველივე ის, რაც სასარგებლოა მის ნაწარმოებებში, განსაკუთრებით ის მრავალი ნაწარმოები, რომლებშიც იგი იცავდა ლენინიზმს და სწორად აჯამებდა სსრ კავშირში მშენებლობის გამოცდილებას, ჩვენ უნდა მივიღოთ როგორც დიდმნიშვნელოვანი ისტორიული მემკვიდრეობა. სხვანაირად მოქცევა შეცდომა იქნებოდა.

მაგრამ არის შესწავლის ორი მეთოდი — მარქსისტული და დოგმატური. ზოგიერთნი სტალინის ნაწარმოებებს დოგმატურად უდგებიან, რის შედეგადაც ვერ გაურჩევიათ სწორი დებულებანი არასწორისაგან, არამედ ეყენებენ მათ როგორც უნივერსალურ საშუალებას ყველა შემთხვევაში. ამრიგად, ისინი გარდუვალად დაუშვებენ შეცდომებს, მაგალითად, სტალინს ჰქონდა ასეთი ფორმულა: რევოლუციის სხვადასხვა პერიოდში ძირითადი დარტყმა უნდა წარმართოთ იქითკენ, რომ მოვახდინოთ შუალედი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალების იზოლაცია. სტალინის ამ ფორმულას კრიტიკულად, მარქსისტული თვალსაზრისით უნდა ვუდგებოდეთ. ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება სწორად ჩაითვალოს საზოგადოებაში შუალედი ძალების იზოლაცია, მაგრამ ეს ყოველ პირობაში როდია სწორი. ჩვენი გამოცდილების მიხედვით რევოლუციის ძირითადი დარტყმები უნდა წარმმართოთ უმთავრეს მოწინააღმდეგეთა წინააღმდეგ, რათა მოვახდინოთ მათი იზოლაცია. რაც შეეხება შუალედ ძალებს, აქ საჭიროა ვიბრძოლოთ მათ წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს ვცდილობდეთ ჩვენს მხარეზე გადმოვიყვანოთ ისინი. უკიდურეს შემთხვევაში უნდა მოვახდინოთ მათი ნეიტრალიზაცია და შესაძლებლობის ფარგლებში მივაღწიოთ იმას, რომ ისინი ნეიტრალიტეტის პოზიციიდან ჩვენს მხარეს გადმოვიდნენ და ჩვენთან კავშირი შეკრან, რათა ამან ხელი შეუწყოს რევოლუციის განვითარებას.

მაგრამ იყო პერიოდი (სამოქალაქო ომის ათი წლის პერიოდი 1927-დან 1936 წლამდე), როცა ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი, მექანიკურად იყენებდა სტალინის ფორმულებს ჩინეთის რევოლუციაში, ძირითად დარტყმას წარმართავდა შუალედი ძალების წინააღმდეგ, მიაჩნდა ისინი ყველაზე საშიშ მტრებად, რის შედეგადაც არა ჩვენი ნამდვილი მტრები, არამედ თვითონ ჩვენ აღმოვჩნდით იზოლირებულნი, თვითონ წავაგეთ, რაც ხელსაყრელი იყო ნამდვილი მტრებისათვის. ამ დოგმატური შეცდომების გამო იაპონელ დამპყრობთა წინააღმდეგ ომის დროს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა იმისათვის, რომ დაგვემარჯხებინა იაპონელი აგრესორები, შეიმუშავა პოლიტიკა: „პროგრესული ძალების გაშლისათვის, შუალედი ძალების მომხრობისა და შუბლმაგართა იზოლაციისათვის“ (მაო ძე-დუნი. რჩეული ნაწარმოებები, ტომი 3, გვ. 366-367, რუს).

ფაქტები ყოველთვის ისეთია, რომ დოგმატიზმს, რომლის წინაშე ქედს იხრის ყველა, ვინც დაუდევრად ეპყრობა თეორიას, უაღრესად სერიოზული ზიანის მეტი არაფერი არ მოაქვს რევოლუციისათვის, ხალხისა და მარქსიზმ-ლენინიზმისათვის. ხალხის მასების შეგნების ამაღლების, მათი შემოქმედებითი ინიციატივის წახალისების თვალსაზრისით, პრაქტიკული და თეორიული მუშაობის განვითარების დაჩქარებისათვის ხელშეწყობით, საჭიროა კვლავაც ვამხილებდეთ დოგმატურ ცრურწმენებს.

პროლეტარიატის დიქტატურამ (ჩინეთში ეს არის ხალხის დემოკრატიული დიქტატურა, რომელსაც მუშათა კლასი ხელმძღვანელობს) დიადი გამარჯვება მოიპოვა ტერიტორიაზე, რომელზეც 900 მილიონი კაცი ცხოვრობს. როგორც საბჭოთა კავშირში, ისე ჩინეთში და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებში არის თავისი დადებითი და უარყოფითი გამოცდილება. ჩვენ კვლავაც უნდა განვაზოგადებდეთ ამ გამოცდილებას. საჭიროა მუდამ ფხიზლად ვიყოთ. შეცდომები შეიძლება შემდეგშიც გვქონდეს. დიდმნიშვნელოვანი გაკვეთილი ის არის, რომ ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები უნდა ცდილობდნენ შეზღუდონ შეცდომები ნაწილობრივი და დროებითი მოვლენების ფარგლებში და შესაძლებლობა არ მისცენ ცალკეულ ნაწილობრივ და ეს-ეს არის გაჩენილ შეცდომებს გაიზარდონ საერთო-სახელმწიფოებრივ მასშტაბამდე ან ხანგრძლივი ვადით.

თავისი ისტორიის მანძილზე ჩინეთის კომუნისტურ პარტიას არაერთგზის დაუშვია სერიოზული შეცდომები. 1924-1927 წლების რევოლუციის პერიოდში ჩვენს პარტიაში გაჩნდა მემარჯვენეოპორტუნისტული ხაზი, რომლის წარმომადგენელი იყო ჩენ დუ-სიუ. 1927-1936 წლების რევოლუციის პერიოდში ჩვენს პარტიაში სამგზის იქნა დაშვებული „მომმარცხენო“ ხაზის გატარება, ამასთან ყველაზე მცდარი იყო ლი ლი-სანის ხაზი 1930 წელს და ვან მინის ხაზი 1931-1934 წლებში. უკანასკნელმა მეტისმეტი ზიანი მიაყენა რევოლუციას. ამავე პერიოდში ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან რევოლუციურ ბაზაში დაშვებულ იქნა ანტიპარტიული მემარჯვენეოპორტუნისტული ხაზი ჯან გო-ტაოსი, რომელმაც თავისი თავი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს დაუპირდაპირა. ამ მცდარმა ხაზმა სერიოზული ზიანი მიაყენა დიდმნიშვნელოვანი რევოლუციური ძალების ნაწილს.

რევოლუციის ორ პერიოდში დაშვებული ზემოაღნიშნული შეცდომები, გარდა ჯან გო-ტაოს მცდარი ხაზისა, რომელიც ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან რევოლუციურ ბაზას ეხებოდა, საერთო-სახელმწიფოებრივი მასშტაბის შეცდომებია. იაპონელ დამპყრობთა წინააღმდეგ ომის პერიოდში ჩვენს პარტიაში კვლავ გაჩნდა მემარჯვენეოპორტუნისტული ხაზი, რომლის წარმომადგენელი იყო ვან-მინი. მაგრამ იმ გაკვეთილების მეოხებით, რომლებიც ჩვენმა პარტიამ რევოლუციის ორ ზემოაღნიშნულ პერიოდში მიიღო, ეს მცდარი ხაზი შედარებით მოკლე ვადაში გამოასწორა ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელმაც მას განვითარების საშუალება არ მისცა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის შემდეგ ჩვენს პარტიაში 1953 წელს გაჩნდა გაო განგ — ჟაო შუ-შის ანტიპარტიული ბლოკი. ამ ბლოკში შევიდნენ გარეშე და შინაგანი რეაქციული ძალები და იგი მიზნად ისახავდა ზიანი მიეყენებინა რევოლუციის საქმისათვის. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ადრე რომ არ აღმოეჩინა და არ გაენადგურებინა ეს ანტიპარტიული ბლოკი, წარმოდგენაც კი ძნელია იმ ზიანისა, რომელიც პარტიისა და რევოლუციის საქმეს მოუვიდოდა.

აქედან შეიძლება დავინახოთ, რომ ჩვენი პარტიის ისტორიული გამოცდილება აგრეთვე იმაში მდგომარეობს, რომ პარტიამ სხვადასხვა მცდარი ხაზების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში გამოაწრთო თავისი თავი და ამის მეოხებით მოიპოვა გამარჯვება დიდ რევოლუციასა და მშენებლობაში. რაც შეეხება ნაწილობრივსა და ცალკეულ შეცდომებს, ისინი ხშირად იჩენენ თავს მუშაობაში. მხოლოდ პარტიის, ხალხის მასების კოლექტიური სიბრძნის, შეცდომების დროზე გამოვლინებისა და დაძლევის მეოხებით მათ არ ეძლევათ პირობები განვითარებისათვის, ისინი არ იზრდებიან საერთო-სახელმწიფოებრივ მასშტაბამდე, არა აქვთ ხანგრძლივი ხასიათი, არ იქცევიან დიდ შეცდომებად, რომლებსაც ზიანი მოაქვს ხალხისათვის.

კომუნისტებმა ანალიზი უნდა გაუკეთონ კომუნისტურ მოძრაობაში დაშვებულ შეცდომებს. ზოგიერთს მიაჩნია, რომ ი. ბ. სტალინი მთლიანად და სავსებით არ არის მართალი. ეს სერიოზული შეცდომაა. ი. ბ. სტალინი გამოჩენილი მარქსისტ-ლენინელია, მაგრამ ამასთან ერთად ისეთი მარქსისტ-ლენინელი, რომელმაც სერიოზული შეცდომები დაუშვა და არ შეიცნო ისინი. ჩვენ ისტორიული თვალსაზრისით უნდა ვუდგებოდეთ ი. ბ. სტალინს, ყოველმხრივსა და სათანადო ანალიზს ვუკეთებდეთ მის დადებითს და მცდარ მხარეებს, გამოგვქონდეს ასეთი გზით სასარგებლო გაკვეთილი. მისი როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთ-ერთი მოვლენაა და ეპოქის დამახასიათებელ ნიშნებს ატარებენ.

საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა მთლიანად ას წელიწადზე ცოტა მეტ ხანს ითვლის, ხოლო ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მხოლოდ 39 წელმა განვლო; რევოლუციური მუშაობის გამოცდილება ჯერ კიდევ საკმარისი არ არის. ჩვენ უდიდესი წარმატებები გვაქვს, მაგრამ ამასთან ერთად არის ნაკლოვანებანი და შეცდომები. მსგავ

ინგლისის საზოგადოებრიობის ინტერესი ინგლისში ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალი ვიზიტისადმი

ლონდონი, 6 აპრილი. (საკდესი). ინგლისის საზოგადოებრიობა დიდ ყურადღებას აქცევს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალ ჩასვლას ინგლისში. ამ ვიზიტისადმი მზარდ ინტერესს მეკვირმეტყველურად მოწმობს მრავალი წერილი, რომლებსაც იღებენ საბჭოთა საელჩო და ლონდონისა და პროვინციული გაზეთების რედაქციები. ამ წერილების ავტორები, რომლებიც ინგლისის სულ სხვადასხვა წრის წარმომადგენლები არიან, მიესალმებიან საბჭოთა ხელმძღვანელების ჩამოსვლას როგორც დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენას და გამოთქვამენ რწმენას, რომ იგი ხელს შეუწყობს ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას.

შოტლანდიელ სტუდენტთა ჯგუფი საბჭოთა საელჩოსათვის გაგზავნილ წერილში სთხოვს საელჩოს გადასცეს ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს მეგობრული მიწვევა — ჩავიდნენ ედინბურგის უნივერსიტეტში და გამოვიდნენ სტუდენტთა საზოგადოებაში. ასეთივე მიწვევა მიღებულია ოქსფორდის უნივერსიტეტის სტუდენტებისაგან.

დარტფორდის სათვლელი მანქანების ქარხნის საამქროს მამასახლისთა კომიტეტი „მხურვალედ მიესალმება ბულგანინისა და ხრუშჩოვის ვიზიტ“ და გამოთქვამს რწმენას, რომ მათი მოლაპარაკება ინგლისის მთავრობის წარმომადგენლებთან „ხელს შეუწყობს იმას, რომ დაჩქარდეს შეთანხმების მიღწევა განიარაღების შესახებ, ატომგულისა და ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტისა და ინგლის-საბჭოთა ვაჭრობის გაფართოების შესახებ“.

ასეთივე აზრია გამოთქმული წერილებში, რომლებიც მიღებულია კოოპერაციული პარტიის ბრაიტონის განყოფილების აღმასკომისაგან, ლონდონის დოკების ტრანსპორტისა და არაკვალიფიციურ შუშათა პროფკავშირის ორგანიზაციისა და სხვა პროფკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან.

დიასახლისებისა და ცალკე ოჯახებისაგან მოდის ბევრი წერილი თხოვნით — ეწვიონ ფინჯან ჩაიზე.

გაზეთ „იორკშირ პოსტის“ მკითხველი ბრაუნბრიჯი გაზეთის რედაქტორის სახელზე გაგზავნილ წერილში აცხადებს, რომ საჭიროა „მიღწეულ იქნას ხანგრძლივი მშვიდობა და მტკიცე ურთიერთგაგება რუსეთთან“. მიუხედავად სხვადასხვაობისა შეხედულებებში, თუ რომელი სახელმწიფოებრივი სისტემაა უკეთესი, წერს იგი, „ყველას უფლება აქვს იქონიოს თავისი აზრი და ყველა პატივს უნდა სცემდეს სხვების აზრს. რუსეთსა და ინგლისს შეუძლიათ სხვადასხვა აზრისა იყვნენ ბევრ საკითხში, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, ვერ შეუშლის ხელს ჩვენს ურთიერთმეგობრობას“.

გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის“ მკითხველ გრიფიტსს მიაჩნია, რომ „რუსეთის ხელმძღვანელებს უაღრესად გულითადი სტუმართმოყვარეობა უნდა გავუწიოთ“. აღნიშნავს რა, რომ უკანასკნელი 150 წლის განმავლობაში რუსეთი ინგლისის მოკავშირე იყო სამ უდიდეს ომში, იგი წერს: „ნაპოლეონის ომებსა და მეორე მსოფლიო ომში რუსეთმა გადამწყვეტი როლი შეასრულა. ნაპოლეონი რომ მოსკოვთან არ დამარცხებულიყო 1812 წელს, საეჭვოა შეეძლებოდა თუ არა ბრიტანეთის იმპერიას აყვავებულიყო. და ვინ იცის, რა შეიძლება მომხდარიყო, ჰიტლერი რომ სტალინგრადთან არ დაემარცხებინათ“.

ა. ი. მიქოიანი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ჩავიდა

პეკინი, 6 აპრილი. (საკდესი). დღეს უხანში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი და მისი თანმხლები პირები, რომლებიც ხანოიდან პეკინში მოდიან.

ა. ი. მიქოიანს აეროდრომზე შეხვდნენ ხუბეის პროვინციის სახალხო მთავრობის თავმჯდომარე ჯან ტი-სიუე, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხუბეის პროვინციული კომიტეტის პირველი მდივანი ვან ენენ-ჯუნი, ჩინეთის კომუნისტური პარტიის უხანის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ქალაქ უხანის სახალხო კომიტეტის თავმჯდომარე სუნ ჯაი-ფუ, ხუბეის პროვინციისა და ქალაქ უხანის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, საბჭოთა სპეციალისტები, რომლებიც უხანში მუშაობენ.

უხანში ყოფნის დროს ა. ი. მიქოიანმა დაათვალიერა მდინარე იანძიზე დიდი ორიგინალური სარკინიგზო და საგზატკეცილო ხიდის მშენებლობა, რომლის აგებაში ჩინეთს დახმარებას უწევენ საბჭოთა სპეციალისტები. ხიდის მშენებლობის უფროსმა პინ მინმა საბჭოთა სტუმრებს გააცნო მშენებლობის მიმდინარეობა. ა. ი. მიქოიანმა გააკეთა ჩანაწერი შთაბეჭდილების წიგნში.

დღესვე ა. ი. მიქოიანი პეკინში გაფრინდა.

• • •

პეკინი, 6 აპრილი. (საკდესი). დღეს პეკინში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი და მისი თანმხლები პირები.

პეკინს აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით, შესახვედრად მოვიდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე ლიუ შაო-ჩი, ჩინეთის სახალხო რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე ჟუ დე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მოადგილეები ჩენ იუნი, პინ დეხუა, დენ სიაო-პინი, ხე ლუნი, ლი ფუ-ჩუნი, ლი სიან-ნიანი, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები ნე ჟუნ-ჯენი და ლუნ იუნი და სხვა ოფიციალური პირები.

აეროდრომზე იყო აგრეთვე საბჭოთა საელჩოს შემადგენლობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის ელჩის პ. ფ. იუდინის მეთაურობით, აგრეთვე სხვა საელჩოებისა და მისიების მეთაურები და წარმომადგენლები, ჩინელი და უცხოელი ჟურნალისტები.

17 საათსა და 20 წუთზე თვითმფრინავი დაეშვა. საბჭოთა სტუმრებს გულთბილად მიესალმნენ ჯოუ ენ-ლაი, ჩინეთის მთავრობის სხვა მოღვაწეები, აგრეთვე დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

ჩინელმა პიონერებმა და საბჭოთა საელჩოს მუშაკთა შვილებმა ა. ი. მიქოიანსა და მის თანმხლებ პირებს ყვავილების დიდი თაიგულები მიართვეს.

• • •

პეკინი, 7 აპრილი. (საკდესი). როგორც სინხუას საგაზეთო ფოფოლა, გუშინ სალამის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ა. ი. მიქოიანი.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიაზე

სტოკჰოლმი, 6 აპრილი. (საკდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს დილის სხდომა გაიხსნა დღეს პროფესორ ლ. ინფელდის (პოლონეთი) თავმჯდომარეობით.

პირველი ორატორი საერთაშორისო სამართლის პროფესორი გ. ბრანდვაინერი (ავსტრია) შეეხო ნეიტრალიტეტის პრობლემას.

მოიყვანა რა მთელი რიგი დოკუმენტებისა და გადაწყვეტილებების ამონაწერები, რომლებიც მოწმობდა, რომ ევროპის საბჭო იწონებს ნატო-ს პოლიტიკას და რომ იგი არ არის ისეთი არასამხედრო ორგანიზაცია, როგორც მას სახავენ, ბრანდვაინერმა თქვა, რომ ავსტრიის თანამრომლობა გადაწყვეტილება — შეეგდეს ამ ორგანიზაციაში — ეწინააღმდეგება ნეიტრალიტეტს დაცვის კანდიდატურას.

მოვდელმა გრიუბერმა (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) თავისი გამოსვლა მიუძღვნა განიარაღების პროგრამას. გრიუბერმა მხარი დაუჭირა წინადადებებს, რომ ევროპაში შეიქმნას შეიარაღების შეზღუდვისა და ინსპექციის ზონა, რომელშიც შევა გერმანიის ორივე ნაწილი. ჩვენ, თქვა მან, უნდა გვქონდეს გამბედაობა გავიგოთ ერთმანეთი, რათა მივაღწიოთ საყოველთაო კეთილდღეობას.

ჰოლონელმა მწერალმა ა. ივანკოვიჩმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ახლანდელ ვითარებაში არ არის რაიმე პოლიტიკური ან ეკონომიური მოსაზრება. რომელსაც შეეძლოს გაამართლოს გამძლეული შეიარაღება. ორატორმა მოუწოდა, რომ მშვიდობის მოიზრეთა მოძრაობას უაღრესად ფართო თანამშრომლობა ჰქონდეს სხვა მშვიდობისმოყვარე ძალებთან, რათა იბრძოლონ ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის.

მონიკა ფელტონმა (ინგლისი) უამბო სხდომას, თუ რა ენთუზიაზმით ეშზადება ინგლისელი ხალხი ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ჩასვლისათვის ინგლისში. მან აღნიშნა, რომ მსოფლიოს ხალხები დიდ იმედს ამყარებენ იმ მოლაპარაკების შედეგზე, რომელიც ლონდონში გაიმართება.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ი. ერენბურგმა. მან თქვა:

— ექვსი წლის წინათ ამ მშვენიერ და მშვიდობისმოყვარე ქალაქში ჩვენ დავგმეთ ატომური იარაღი და არასოდეს არ ვიტყვით უარს ჩვენს თვალსაზრისზე. მაღალი ჰუმანისტური პრინციპები განსაზღვრავენ ჩვენს დამოკიდებულებას მასობრივი მოსპობის იარაღისადმი. ეს იარაღი ჩვენ გვძულს მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მისი მფლობელი. რა თქმა უნდა, ყოველ ჩვენგანს აქვს თავისი პოლიტიკური რწმენა, და ჩვენ შეგვიძლია სხვადასხვანაირი შეფასება მივცეთ ამათუ იმ მოვლენას, მაგრამ ჩვენ გვაერთიანებს საერთო მისწრაფება — მივაღწიოთ ყველა სახელმწიფოს შორის მშვიდობიან თანამშრომლობას. სწორედ ამიტომ ვიყავით და კვლავაც ვართ განიარაღების მომხრენი და იმას არ ვკითხულობთ, მოიგებენ თუ წააგებენ ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირებით შეერთებული შტატები ან საბჭოთა კავშირი. სწორედ ამიტომ მოვითხოვდით და მოვითხოვთ ატომგულის იარაღის აკრძალვას, არ ვანგარიშობთ, თუ რომელი მხარისთვის არის ხელსაყრელი ასეთი აკრძალვა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შეიარაღების შემცირებით დაინტერესებულია ყველა ხალხი, რომ ატომგულის იარაღის აკრძალვა შეესაბამება მთელი კაცობრიობის მოთხოვნებს.

ჩვენ აქ ვერ განვიხილავთ განაგრძო ერენბურგმა, იმას, საჭიროა თუ არა. რომ საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების არმიები შემცირდეს მილიონნახევარ კაცამდე. როგორც ამას მოითხოვს საბჭოთა კავშირი, ან 2,5 მილიონ კაცამდე, როგორც ეს ამერიკელებს სურთ. ეს არ არის ჩვენი კომპეტენციის საკითხი. ვართ რა, მშვიდობის მომხრენი, ჩვენ შეგვიძლია ზოგიერთ ვთქვათ, რომ რაც ფულები დარჩება მსოფლიოში ჯარისაკი, მით უფრო დამშვიდებით იქნება ყველა ხალხი.

მთელი მსოფლიოს პრესა არ მალავს, რომ უფრო ხელსაყრელი მიმართულება. რაც ახლა მიიღო განიარაღების პრობლემამ, იიხსნება მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით. ჩვენ უნდა ვოვუწოდოთ ყველა ქვეყნის საზოგადოებრიობას მხარი დაუჭიროს შეთანხმებისადმი მისწრაფებას და იბრძოლოს იმ ცდებს წინააღმდეგ, საიდანაც უნდა იყოს ეს ცდები, რომ გადაიდოს ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის გადაჭრა.

მ სიმონსენმა (დანია) თავის სიტყვაში განაცხადა, რომ ამჟამად არის საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შემდგომი შენელებისა და ხალხთა შორის ურთიერთგაგების განმტკიცების შესაძლებლობა.

ისლანდიის წარმომადგენელმა ტომასდოტირმა განაცხადა, რომ რამდენიმე დღის წინათ ისლანდიის პარლამენტის უმრავლესობამ მიიღო გადაწყვეტილება ისლანდიის ტერიტორიიდან ამერიკის ჯარების გაყვანის შესახებ. მან იმედი გამოთქვა, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭო მხარს დაუჭერს ისლანდიელ ხალხს ამ საქმეში. რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ისლანდიის მომავლისათვის.

დილის სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე დრეიფუს-შმიდტი (საფრანგეთი), ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი პროფესორი ნაჯაკოვი, ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური მდივანი ი. ანობლოხი (ჩეხოსლოვაკია).

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა სესიაზე მიწვეულმა ქრისტიანთა გაერთიანების „ფილოუსენ ოფ რეკონსილიეშნის“ გენერალურმა მდივანმა მაკვაირმა (ინგლისი).

ხელი მოაწერეს შეთანხმებას სსრ კავშირისა და ინდოეთის ნავსადგურებს შორის რეგულარული ნაოსნობის შემოღების შესახებ

დელი, 6 აპრილი. (საკდესი). საბჭოთა კავშირ-ინდოეთის 1955 წლის 13 დეკემბრის ერთობლივი კომუნიკეს განსავითარებლად დელში მოლაპარაკება წარმოებდა სსრ კავშირისა და ინდოეთის მთავრობის დელეგაციებს შორის. მოლაპარაკება მიმდინარეობდა მეგობრობისა და გულითადობის ვითარებაში, და ყველა საკითხის დეტალური განხილვის შემდეგ დამთავრდა 1956 წლის 6 აპრილს შეთანხმების ხელმოწერით იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის ნავსადგურებსა და ინდოეთის რესპუბლიკის ნავსადგურებს შორის შემოღებულ იქნას რეგულარული ნაოსნობა.

მოლაპარაკებაში საბჭოთა კავშირის მხრივ მონაწილეობდნენ სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს კოლეგიის წევრი ა. ა. საველიევი (დელეგაციის ხელმძღვანელი), ა. პ. ჩერნიაკი, ი. პ. კონონოვი, ნ. პ. კუსკოვი, ინდოეთის მხრივ გზათა სამინისტროს მდივანი ნ. მ. აიარი (დელეგაციის ხელმძღვანელი), კ. ბ. ლალი, ნაგენდრა სინგჰი, ჭოში.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მთავრობის რწმუნებით ა. ა. საველიევმა, ინდოეთის მთავრობის რწმუნებით ნ. მ. აიარმა.

დელეგაციები შეთანხმდნენ, რომ საბჭოთა შავი ზღვის ნავსადგურებს — ოდესასა და ნოვოროსისკს და ინდოეთის ნავსადგურებს — ბომბეისა და კალკუტას შორის შემოღებულ იქნას რეგულარული ნაოსნობა.

ორივე მხარემ რეგულარულ სანაოსნო ხაზზე სამუშაოდ გამოჰყო ექვს-ექვსი გემი თვითეული მხარის გემების საერთო ტვირთმზიდობა 50 ათას ტონას აღემატება. ამ ხაზის გემები ძირითადად გადაზიდავენ საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ტვირთებს.

ორივე ქვეყნის გემები სსრ კავშირისა და ინდოეთის ნავსადგურებში ისარგებლებენ უმეტესი მფარველობის რეჟიმით, აგრეთვე უზრუნველყოფილი იქნებიან სრული მომსახურებით და ყოველივე იმით, რაც საჭიროა ნორმალური ნაოსნობისათვის.

მიღწეულია შეთანხმება ურთიერთსასარგებლო საფრახტო განაკვეთების შესახებ.

ყველა საკითხის კოორდინაციის მიზნით მხარეებმა თავიანთ წარმომადგენლებად დანიშნეს: საბჭოთა კავშირმა — სრულიად საკავშირო გაერთიანება „სოვფრახტი“ და ინდოეთმა — ნაოსნობის გენერალური დირექტორატი.

საბჭოთა გემებს ინდოეთის ნავსადგურებში მოემსახურებიან ინდოეთის ფირმები, ხოლო ინდოეთის გემებს საბჭოთა ნავსადგურებში — საბჭოთა საagენტო „ინფლოტი“.

შეთანხმება ძალაში შევიდა მისი ხელმოწერის დღიდან.

ეს შეთანხმება ახალი ეტაპია სსრ კავშირსა და ინდოეთს შორის ეკონომიური თანამშრომლობის განვითარებასა და ვაჭრობის გაფართოებაში.

მოსკოვში ჩამოვიდა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების დელეგაცია

6 აპრილს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიწვეული მოსკოვში ჩამოვიდა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების დელეგაცია დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარის კონსტანტინე პირვულესკუს მეთაურობით. დელეგაციაში შედიან: ფლორია ტიცე, პეტრე ლუპუ, ფლორიან დენდელეკე, იონ პასი, ანტონ ბრეიტენხოფერი, ევგენი ნიკოლაევი, იონ ცურაია, ლადისლავუ ბანიაი, პეტრე ეურკე, ელენე ვილკოჩი, იონესკუ სტატე, დომნიკა მარჯინიანუ, ნიკოლაე ჩოკანი, რომულუს ზერონი.

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, დელეგაციას შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. ბ. ვოლკოვი, სსრ კავშირის მინისტრები, მოსკოვის საწარმოთა წარმომადგენლები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

დელეგაციას შეხვდნენ აგრეთვე რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ი. რაბი და საელჩოს თანამშრომლები.

ჩამოსულთ მიესალმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. ბ. ვოლკოვი.

ა. ბ. ვოლკოვის მისალმების პასუხად სიტყვა წარმოთქვა დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარემ კონსტანტინე პირვულესკუმ. (საკდესი).

ზეადი ჟურნალისტების დელეგაცია თბილისში

7 აპრილს საღამოს სიმფეროპოლიდან თბილისში ჩამოვიდა შვედ ჟურნალისტთა დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში სტუმრად არის სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების მოწვევით.

დელეგაციის შემადგენლობაში, რომელსაც მეთაურობს გაზეთ „კარლსტადსტიდნინგენის“ მთავარი რედაქტორი მ. სტოლი, არიან გაზეთ „ესტგიოტენის“ მთავარი რედაქტორი ჯ. ჰ. იუჰანსონი, გაზეთ „ბუროს ტიდნინგის“ მთავარი რედაქტორი ტ. ვერენსტამი, გაზეთ „ჰიუდიქსვოლსე ტიდნინგის“ მთავარი რედაქტორი უ. ტრულინი, გაზეთ „სტოკჰოლმს-ტიდნინგენის“ მთავარი რედაქტორი ჯ. კრეიგერი, გაზეთ „სმოლანდს-პოსტენის“ მთავარი რედაქტორი გ. ფრანზენი, გაზეთ „მორგონ-ტიდნინგენის“ რედაქტორი ა. მელერი და გაზეთ „დაგენს ნიუჰეტერის“ თანამშრომელი გ. არვიდსონი.

აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ რესპუბლიკური გაზეთების, საქართველოს დეპეშთა სააგენტოს — საქდესის წარმომადგენლები, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროსა და უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პასუხისმგებელი თანამშრომლები. (საქდესი).

იღვიძებს ბუნება...

ორთაჭალის ბოლოს ხმაურიანი მაგისტრალური გზიდან მარჯვნივ რომ გადაუხვევთ, ათიოდე ნაბიჯს გაივლით და განიერ ალაყაფის კარში შეხვალთ, ვითარება უცებ იცვლება. ასეთ მცირე მანძილზე ასეთი კონტრასტი! — თავბრუდამხვევი მოძრაობა ათასგვარი მანქანებისა, ადამიანთა უწყვეტი მიმოსვლა, ახლომახლო საწარმოთა ყრუ გუგუნი, ქალაქის ხმაური უკან რჩება. მას სცვლის ფრინველთა სტვენა-გალობა, გრილი ნიავი, მარადმწვანე კვიპაროსებისა და ნაძვების შრიალი... გეგონებათ, თბილისს დიდი მანძილით გასცილებოდეთ.

ეს არის ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის კარმიდამო.

კრწანისის მიდამოები, საერთოდ, უმშვენიერესია თბილისის გარეუბნებში, მაგრამ ეს ადგილი კრწანისისა უყველაზე წარმტაცია, განსაკუთრებით ახლა, ამ დღეებში, როცა გაზაფხული დიდი ხნის ლოდინის შემდეგ გვეწვია და გაგვახარა. თითქოს „დანაშაულის“ გამოსყიდვა უნდა, ასე რომ დავიგვიანეო, მზე უხვად გვაფრქვევს სითბოს. დამბალ მიწას ოხშივარი ასდის, ხეებში მსუბუქი ნისლი დგას — დარის ნიშანი. მინდვრის თავზე მზის სხივები ციმციმებს. ატამს, გარგარს დაბერილი კვირტები ეხსნებათა, ნუში უკვე აყვავებულა.

საცდელ-სასწავლო ნაკვეთებზე დიდი ფაციფუცია. აქ მეცნიერების გადარგვაზე მუშაობენ, იქ — კვალსათბურების მოწყობასა და ადრეული ბოსტნეულის ჩითილის გამოყვანაზე, მოშორებით ბარავენ მიწას, ორგანული სასუქი შეაქვთ. თოხი და ფიცები უჭირავს დიდსა და პატარას, ჩითილს ავტომაქსებით ასხურებენ წამალს.

ნორჩ ბიოლოგებთან ერთად შრომობენ სადგურის დირექტორი შალვა მანგიაშვილი, აგრონომი ბენო გოგიჩაიშვილი, ბიოლოგიის წრის ხელმძღვანელი ვლადიმერ მახარაძე, პედაგოგ-მასწავლებლები, სხვადასხვა წრის ხელმძღვანელები. ქვემოთ სურათზე თქვენ ხედავთ მათ საობურებთან. ზემოთ კი ნორჩ მეყვავილეებს — ბოტანიკოსებს ინეზა ნინუას, სერგო მამაცაშვილს, იუზა ცარციძეს გულმა ვეღარ მოუთმინა — ნუშის ყვავილებს ჩაეხვევნენ თვითონ ყვავილები...

დიდია ამ სადგურის დანიშნულება, განსაკუთრებით ახლა, როცა სკოლები პოლიტექნიზაციის გზას ადგანან, როცა მოსწავლეებს უმუშავდებათ ბიოლოგიური, აგრონომიული მეცნიერებისადმი სიყვარული, სოფლის მეურნეობის საფუძვლების ცოდნისადმი მიდრეკილება. 1954 წელს ეს სადგური ფართო მაჩვენებლებით წარსდგა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. დღესაც არის მისი ექსპონატები ნატურალისტთა პავილიონში. იქიდან რადიომიმღები „მშვიდობა“, ხმოვანი კინოდანადგარი, მაჯის საათები და ველოსიპედები მიილო სადგურმა ჯილდოდ. გამოფენაზე იყვნენ სწავლის წარჩინებული ნორჩი ნატურალისტები, ბოტანიკოსები. წელსაც დიდი მზადება აქვთ — სადგური გამოფენის კანდიდატია.

სიცოცხლე დუღს ბაღებში და ვენახებში, ყვავილნარებში და საფუტკრეში, ციტრუსების პლანტაციებში. დიდი ფაციფუცი აქვთ ნორჩ მეცხოველეებს.

ამ სადგურის კარმიდამოში დღეს განსაკუთრებული გამოცოცხლებაა — „ტეასა და ფრინველის დღეა“.

იღვიძებს ბუნება, ზეიმობს ბუნება და ადამიანი!

ტექსტი
ვლ. დემეტრაძისა,

ფოტო **შ. ჩხეტიანისა.**

თბილისიდან გაემგზავრა შვეიცარიის პრემიერ-მინისტრი ჭ. ერლანდერი

7 აპრილს თბილისიდან ერევანს გაემგზავრა შვეიცარიის პრემიერ-მინისტრი ტ. ერლანდერი და მისი თანმხლები პირები.

აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო შვეიცარიის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით, პრემიერ-მინისტრი ტ. ერლანდერი გაიცილეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. ი. კუჭავამ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. ი. ჩოგოვაძემ, საქართველოს სსრ მინისტრებმა გ. ნ. ჯიბლაძემ, ბ. ა. ჩხეიძემ, ვ. ნ. ჯანჯღავამ, ა. ა. გიგოშვილმა, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. კ. მაღრაძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა, ჟურნალისტებმა.

მ. ი. კუჭავამ და ტ. ერლანდერმა სიტყვები წარმოთქვეს. შვეიცარის პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ საქართველოში, ისე როგორც ყველგან საბჭოთა ქვეყანაში, დიდი მუშაობა წარმოვებს მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის, ეკონომიკის განვითარების დარგში.

დასასრულ ტ. ერლანდერმა გულთბილი მადლობა გადიხადა გულითადი მიღებისათვის.

შვეიცარის პრემიერ-მინისტრ ტ. ერლანდერთან ერთად გაემგზავრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი შვეიცარიაში კ. კ. როდიონოვი, შვეიცარის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში რ. სულმანი და შვეიცარიის სსრ კავშირში ინ. ფონ ბალეზერ-ბოქსბერგერ-ბალდენ.

„სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი)

გუშინდელი ფეხბურთის მატჩისადმი ინტერესი უთუოდ დიდი იყო. შეჯიბრების დაწყებამდე დიდი ხნით ადრე სტადიონის იარუსები სავსე იყო სპორტის მოყვარულებით. ძველი მეტოქეები — მოსკოვის „სპარტაკი“ და თბილისის „დინამო“ მოედანზე გამოვიდნენ საუკეთესო შემადგენლობით. სტუმართა რიგებში ვხედავდით სახელმოხვეჭილ ფეხბურთელებს ი. ნეტოს, ბ. ტატუშინს, ს. სალნიკოვს, ნ. სიმონიანს და სხვ.

რა გვიჩვენა პირველმა წუთებმა, პირველმა ტაიმმა?

სტუმრებმა თავიდანვე მაღალი ტემპი, გააზრებული და კომბინაციური თამაში შესთავაზეს დინამოელებს. „სპარტაკის“ გუნდის ყველა ხაზი მაქსიმალური დატვირთვით მუშაობდა, თვითეული სპორტსმენი აჭტიურად იბრძოდა ბურთისათვის, გადამწყვეტი იერიშისათვის.

2 წუთი არც კი იყო გასული, როცა მოსკოველთა ფარზე აღმართა ციფრი 1. გოლი გატანილ იქნა ასე: მეკარისაგან ბურთს დაეუფლა ცენტრალური შუამრბი ნ. სიმონიანი. ამჯერად არ იზრუნეს მის „ჩაკეტვაზე“ და ეს შეცდომა გოლით დამთავრდა. მალე დინამოელთა კარში მეორე ბურთი აღმოჩნდა, ხოლო 25-ე წუთზე — მესამე.

3:0 სპარტაკელთა სასარგებლოდ — ასეთი იყო პირველი ტაიმის შედეგი.

შეჯიბრების მეორე ნახევარში თბილისელები გაბედულად და ტემპიანად იბრძოდნენ. მე-9 წუთზე მოპოვებულ იქნა პირველი წარმატება. ბურთი გიტანა ზ. კალოევმა. დინამოელთა უპირატესობა თანდათან აშკარა გახდა. შეკარე ვ. ტუჩკუსმა იხსნა კარი აშკარა გოლებისაგან. ერთ-ერთი იერიშის დროს უხეშობისათვის სპარტაკელები დაჯარიმდნენ. ა. ლოლობერიძემ ვერ გამოიყენა „პენალტი“. 2 წუთის შემდეგ ა. ჭკუასელმა ანგარიში გაადიდა. ბრძოლის შემდგომ ეტაპს შედეგი არ ნოუტი.

მატჩი დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით ანგარიშით 3:2.

მწერალთა ბრიგადის საღამოები

ცხაკაია. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელებს ესტუმრნენ მწერლები ს. თავაძე, ვ. გორგაძე და ვ. გორგანელი, რომლებმაც საღამოები გამართეს ქალაქის კულტურის სახლში, ძველი სენაკის საშუალო სკოლასა და სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში.

მოხსენება — ქართული საბჭოთა მწერლობა მშვიდობისათვის ბრძოლაში — წაიკითხა პოეტმა ვახტანგ გორგანელმა. დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ მწერლების გამოსვლას.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

დღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ჩხიკვთა ქორწილი (დილას), გედების ტბა (საღამოს), **რუსთაველის სახელობის** — ოდიპოს მეფე, **მარჯანიშვილის სახელობის** — რას იტყვის ხალხი (დილა-საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — ბრალდება (დილა-საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — ლაღი ქარი (დილას). ჩვენი ბაკხობები (საღამოს). **სომხური დრამის**—ალისფერი ყვავილი (დილას), სომხეთის მთებში (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ანაკუნე (აბონემენტი № 12, 12 ს.), კოკლი მეუნისქვილე (აბონემენტი № 17, 6 ს.). **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — უჩინარი დიმა (10 ს.), ცისფერი და ვარდისფერი (7 ს.), **თოჯინების ქართული** — ბურატინოს თავგადასავალი (11 ს. და 3 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის. ამირანი, ისანი, **პლეხანოვის სახელობის კლუბი**— ოტელო, ოქტომბერი, **სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის,** თბილისი, **კიროვის სახელობის პარკი** — გზები და ბედი. **კომკავშირელი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — ორი კაპიტანი, **კოლხიდა, დიდუბე** — ჩვენი დირექტორი, **ოფიცერთა სახლი, გორკის სახელობის კულტურის სახლი** — მშრალი კანონი, **კოლმეურნე** — რუმიანცევის საქმე, **ვოროშილოვის სახელობის კლუბი, კომუნარების ბაღი** — მოგზაურობა არგენტინაში.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია

საზამთრო თეატრი
(პლეხანოვის პროსპ. 123).
9 აპრილი
ქართული ესტრადის ოსტატთა კონცერტი
მონაწილეობენ:
რესპუბლიკის სახალხო არტისტები, სტალინური პრემიის ლაურეატები: **ემანუილ აფხაიძე, ვახო გოძიაშვილი, აიერ კობახიძე.**
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი **აკაკი ავანტალიანი.**
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები: **ალექსანდრე გომელაური, სტეფანე ჯაფარიძე, ელენე ჩოხელი, ნიკოლოზ მოსეშვილი.**
მსახიობთა საკავშირო კონკურსის ლაურეატი **ქეთო ჯაფარიძე**
და
საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის და თბილისის თეატრების მსახიობები.
დასაწყისი საღამოს 9